

პრაქტიკის კვლევა: ხარისხის შეფასების სისტემა ონლაინ კურსებისთვის

თამუნა მაისურაძე

ალექსანდრე ქასრაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა მაისურაძე

ალექსანდრე ქასრაშვილი

03/07/2021

მადლობა

სამაგისტრო კვლევაზე მუშაობისას არაერთი ადამიანი დაგვეხმარა, რისთვისაც გვინდა მადლობა გადავუხადოთ მათ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელს, ნათია ანდლულაძეს, რომელიც კვლევის თითოეულ ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მუდმივად გვაძლევდა მიმართულებას, რჩევებს, რეკომენდაციებსა და უკუკავშირს.

აქვე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის პროფესორებს, სტუდენტებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, რომელთაც არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა ჩვენ მიერ ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში, ინტერვიუებში, სამუშაო/საკონსულტაციო ჯგუფებში და მუდმივად მზად იყვნენ ჩვენს დასახმარებლად.

მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების პროგრამის ადმინისტრაციას მუდმივი მხარდაჭერისთვის.

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი	vi
აბსტრაქტი	1
შესავალი	3
ლიტერატურის მიმოხილვა	5
<i>ტრანზაქციული დისტანციის თეორია</i>	5
<i>პრაქტიკის საზოგადოების თეორია</i>	8
<i>კვლევის საზოგადოების მოდელი</i>	11
<i>კურსის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები</i>	14
საკვლევი პრობლემა	17
<i>საკვლევი კითხვები</i>	18
კვლევის მეთოდოლოგია	19
<i>კვლევის მეთოდი</i>	19
<i>მონაწილეები</i>	21
<i>დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდოლოგია</i>	21
<i>ინტერვენციების შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია</i>	22
დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები	23
ინტერვენციის აღწერა	29
<i>ინტერვენციის თეორიული ჩარჩო</i>	29
<i>ხარისხის შეფასებისა და განვითარების მოდელი</i>	33
<i>ხარისხის გაუმჯობესებების პროცედურები</i>	42

ინტერვენციის შედეგების შეფასება	44
<i>სტუდენტთა კითხვარის გამოცდა</i>	44
<i>კოლეგიალური შეფასების გამოცდა</i>	60
შედეგების განხილვა	70
რეკომენდაციები	74
ბიბლიოგრაფია	76
დანართები	82

აბრევიატურების ჩამონათვალი

CoI - (Community of Inquiry) კვლევის საზოგადოება. მოდელი, თეორიული ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის შექმნას სამი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული კომპონენტის - სოციალური, კოგნიტური და სწავლების კომპონენტის საშუალებით.

CoP - (Community of Practice) პრაქტიკის საზოგადოება. თეორია იმის შესახებ, რომ სწავლის პროცესი მიმდინარეობს გარვეულ საზოგადოებაში, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან და ერთად შეისწავლიან გარკვეულ სფეროს.

QM - (Quality Matters) ხარისხის კოლეგიალური შეფასების მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ონლაინ და შერეული კურსების ხარისხის შეფასებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ონლაინ კურსებისთვის ხარისხის შეფასების სისტემის შემუშავებაზე პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია ონლაინ კურსებისთვის შეფასების სისტემის მოდელის შემუშავება.

დიაგნოსტიკური კვლევის საშუალებით, ტრადიციული კურსების შეფასების სისტემის შესწავლის საშუალებით, გამოიკვეთა არსებული შეფასების სისტემის ხარვეზები. ამ ცოდნის გათვალისწინებით დაიგეგმა ონლაინ კურსების შეფასების სისტემის განვითარების ორიენტირები შეფასების სისტემის ვალიდობისა და სანდოობისა, ასევე, მისი განმავითარებელი ფუნქციის გაზრდის სახით. შესაბამისად, შევიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეყრდნობა არსებული თეორიული ჩარჩოების სინთეზს, შეფასების ინსტრუმენტები და შეფასებაზე დაყრდნობით კურსის გაუმჯობესების პროცედურები. ახალი სისტემა გამოვცადეთ ორი კურსის მაგალითზე და ლექტორებისა და სტუდენტების სისტემის ეფექტიანობის, ვალიდობისა და სანდოობის ირგვლივ რეფლექსიის საშუალებით დავხვეწეთ სისტემის ცალკეული მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: შეფასების სისტემა; ონლაინ კურსები; კოლეგიალური შეფასების მეთოდი; კითხვარი ონლაინ კურსებისთვის.

Abstract

The research paper is based on an action research project on the development of an evaluation system for online courses at Ilia State University. At the diagnostic stage of the project, we examined the existing practice of course evaluation. The findings from the study showed areas for special consideration in building the evaluation system for online courses. Namely, we designed the online course evaluation system with particular consideration of validity, reliability, and quality improvement capacity of the instruments and procedures. We tested the new system on two online courses and based on the feedback from students and instructors, modified the initial design of the system. The proposed model includes a student survey and a peer evaluation. Both components include procedures concerned with the improvement of a course quality.

Key words: Course evaluation; online course; peer evaluation; student survey.